1888 წელსა, № 11 15 ივნისი.

მწყემსი

1883-1888

«მწყემსი» გამოდის თვეში ორჯერ, ყოველი თვის თხუთმეტს და ოც-და-ათ რიცხვებში.

გაზეთის ფასი:

«მწყემსი»		«მწყემსი» რუსული გამოცემით	
12 თთვით	5 მან.	12 თთვით	6 მან.
6 —	3 —	6 —	4 —

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: *Въ Квирилы, Въ редакцію „Мцкемси“ (Пастырь).*

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდავათ, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელმოწერილნი. ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ.

სტატია, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულ ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

ახალი ზომები საქართველოს სამღვდელოების ნაყოფიერი მსახურებისა და მოქმედებისათვის მის მწყემსებრივ ასპარეზზედ.

სკოლები, სახალხო სწავლა, საეკლესიო ქადაგება და სხვა ამის მზგავსნი საშუალებანი შეადგენენ უკვე გამოცდილ და ნამდვილ ზომებს, რომელთა მეოხებით ხალხში ვრცელდება სწავლა-განათლება. მაგრამ ამ საშუალებათა გარდა დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ხალხისათვის საზოგადო წიგნთ-საცავებს (библіотеки). ამ წიგნთ-საცავებში ყოველ კაცს, რომელმანც ცოტა წერა-კითხვა კი იცის, შეუძლია მოიშოვოს ისეთი წიგნები, რომელნიც დააკმაყოფილებენ მისი სულის და გონების მოთხოვნილებათა. ვინ არ უწყის, რომ იმ ქალაქების მკვიდრნი, სადაც კარგად განწყობილნი წიგნთ-საცავები არის, უფრო მაღლა სდგანან გონებით, ვინემ იმ ქალაქებისა, სადაც ამისთანა წიგნთ-საცავები არ მოიშოვებიან. მაგრამ ჩვენ, როცა ამისთანა წიგნთ-საცავების სარგებლობაზე ვლაპარაკობთ, სახეში გვაქვს წერა-კითხვის მცოდნე პირნი, მაგრამ როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ ასეთი საზოგადო წიგნთ-საცავები სასარგებლონი გამოდგნენ წერა-კითხვის უცოდინარ მკვიდრთათვისაც? ამ შემთხვევაში ჩვენ თვითონ უნდა უკითხოთ წერა-კითხვის უცოდინარ ხალხს ადვილად გასაგები შინაარსის წიგნები, რომელთაც შეეძლოსთ ხალხის უპირველეს საჭიროებათა და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ნუ რავინ იფიქრებს, რომ ამისთანა კითხვით სარგებლობას ვერ მოუტანთ ხალხს და ვერ გადავსცეთ მასს უსაჭიროესს სწავლა-დარიგებას, თუ კი წიგნების კითხვის საქმე ხეირიანად იქნება დაყენებული. ამისთანა კითხვით უფრო მეტ ცოდნას შეიძენს ხალხი, ვინემ მაშინ, როცა მას თვითონ ეცოდინება წერა-კითხვა და კერძოდ იკითხავს სხვა და სხვა წიგნებს. ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ საზოგადო კითხვას დიდი უპირატესობა აქვს კერძოდ წიგნების კითხვასთან, რადგან პირველს შემთხვევაში წაკითხული წიგნის მთელი შინაარსი გადაეცემა ხოლმე ხალხის უმეტეს ნაწილს გაუურჩეველად სქესისა, წოდებისა და განათლებისა. მეორე შემთხვევაში კი წიგნის შინაარსი ხდება მარტო ერთი კაცის საკუთრებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც ჩვენ ზემოთა ვსთქვით ქალაქების და დაბების საზოგადო წიგნთ-საკავების მნიშვნელობაზე, იგივე შეიძლება ითქვას იმ წიგნთ-საკავებზედაც, რომლებიც უნდა დაარსდენ ეკლესიებთან იმ მიზნით, რომ გავრცელებულ იქნეს ხალხში სარწმუნოების უმაკავრესნი ჭეშმარიტებანი და ქრისტიანობითი ზნეობა. საეკლესიო წიგნთ-საკავების დაარსების შესახები კითხვა, რომელიც აღძრა მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოეობამ, საქართველოს ექსარხოსმა პალადიმ, ფრიად საყურადღებოა და ამიტომ საჭიროა ამ საგანს ეხლავე ჯეროვანი ყურადღება მივაქციოთ. ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს კითხვა ჩვენი საქართველოს სამღვდელოებისათვის სრულიად ახალია. რუსეთშიაც მარტო ამ უკანასკნელ დროში მიაქციეს ჯეროვანი ყურადღება საეკლესიო წიგნთ-საკავების დაარსების საქმეს. რადგან ჩვენი სამღვდელოების უმეტესი ნაწილი რიგიანად არ არის მომზადებული ქადაგებისათვის, ამიტომ მათ ქადაგებითი სიტყვას არ შეეძლია დააკმაყოფილოს ყოველის მხრით სულიერი საჭიროებანი მათი სამწყსოებისა; ამ შემთხვევაში მღვდლებს დიდ შემწეობას და დახმარებას გაუწევენ საეკლესიო წიგნთ-საკავები. პირველად საჭიროა, რომ მღვდელმა როგორმე მოახერხოს ეკლესიასთან წიგნთ-საკავის დაარსება და მასში, შეძლებისა დაგვარ, შეჭკრიბოს სასულიერო და ზნეობრივი შინაარსის წიგნები, შემდეგ უნდა იზრუნოს მან, რომ სამწყსოში აღძრას ამ წიგნების წაკითხვის სურვილი და წაკითხულის მოსმენისა. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ მღვდელს ყოველთვის საკმაოდ ეყოლება მსმენელები, თუ წიგნების კითხვა ხეირიანად იქნა წაყვანილი, და ამასთან კითხვის ნაყოფიც მალე იჩენს თავს. ამისთანა კითხვით მღვდელი აღამაღლებს თავის სამწყსოს ზნეობრივის მხრით და შესამჩნევად წინ წასწევს მათ გონებითად. როცა სამწყსო მიეჩვევა წაკითხული წიგნების შინაარსის მოსმენას, მაშინ წერა-კითხვის მცოდნე მრავალ პირთა შორის აღიძრება სურვილი თვიონ წაიღონ ეს წიგნაკები და თავიანთ შინაურებსაც წაუკითხონ. ამ შემთხვევაში მოძღვარს ღონე ეძლევა, რომ წიგნთ-საკავის მნიშვნელობა გაავრცელოს ხალხში და ამიტომ მან სიხარულით უნდა აძლიოს წიგნები მათ, რომელნიც მოისურვებენ წაღებას და წაკითხვას, მხოლოდ იმ პირობით, რომ წაღებული წიგნები, წაკითხვის შემდეგ, უსათუოდ უკანვე დააბრუნონ და მათ სამაგიეროდ წაიღონ სხვანი. პირველ შემთხვევაში ურიგო არ იქნება, რომ მღვდელმა გამოსცადოს თავის მკითხველები და შეიტყოს, თუ რამდენად შეითვისეს მათ წაკითხული. აქ მწყემსმა მოხერხებით და გონიერებით უნდა უხელმძღვანელოს ხალხს კითხვის საქმეში; მღვდელმა დარიგება უნდა მისცეს მკითხველთ, თუ რას უნდა მიაქციონ მათ ყურადღება კითხვის დროს, რომ კითხვამ ნამდვილად სარგებლობა მოუტანოს მათ. უნდა გააგებინოს ხალხს, რომ წიგნების კითხვას მხოლოდ მაშინ შეუძლია ნამდვილი სარგებლობის მოტანა, როცა ხალხი თავის ცხოვრებაში და მოქმედებაში განახორციელებს სარწმუნოების უმაღლესს ჭეშმარიტებათ და კეთილ-ცხოვრებას და მიბაძვის ღირს მაგალითებს წმიდათა ცხოვრებიდამ, რომელთაც ისინი ამოიკითხავენ მათ დამი მიცემულ წიგნებში. საეკლესიო წიგნთ-საკავებისათვის პირველად შეგვიძლია მოვიპოვოთ წიგნები საეკლესიო ხარჯით, მაგრამ შემდეგში, როცა კითხვის სურვილი შესამჩნევად გაიღვიძებს და გაძლიერდება ხალხში, მაშინ მღვდელს შეუძლია მოიწვიოს სამწყსო, რომ მანაც თავის შეძლებისა მებრ გამოიღოს რამე წიგნების სასყიდლად, რადგან ახლად შეძენილი წიგნები მათვე დაურიგდებათ საკითხავად.

ქართლ კახეთის ეპარქიის სამღვდელოების უკანასკნელ კრებაზე ზოგიერთი დეპუტატები, ზემოთ მოყვანილი კითხვის განხილვის დროს, წინაადმდეგნი იყვნენ ეკლესიებთან წიგნთ-საკავების დაარსებისა იმ მოსაზრებით, რომ ვითომ ჩვენი ხალხი ჯერ კიდევ მომზადებული არ იყოს ამისათვის; დეპუტატები ამტკიცებდენ, რომ ჩვენს ხალხს არ უყვარს კითხვა და არც სხვის წაკითხულს დაუდგებს ყურსაო. ამ აზრის უსაფუძვლობა ჩვენ იმ კრებაზედვე დაუმტკიცეთ ამისთანა დეპუტატებს. საჭიროდ ვრაცხრთ, რომ ჩვენი აზრი, რომელიც მაშინ კრებაზე წარმოვსთქვით, განვიმეორეთ დანარჩენი ჩვენი მკითხველებისათვისაც. დიდი ხანია, რაც ჩვენში იბეჭდებიან: «არსენას ლექსი», „ქალ-ვაჟიანი“, «ვარდ-ბულბულიანი», «ყარამანიანი» და ამის მზგავსნი წიგნები, რომელნიც არავითარიმე სარწმუნოებრივ-

ზნეობრივს სწავლას არ შეიცავენ; ეს წიგნები ორი და სამი ათასი ცალი იბეჭდებიან, მაგრამ ისე ჩქარა სალდებიან ხალხში, რომ მათი ხელ-მეორედ გამოცემა ისევ საჭიროდ ხდება. ზოგიერთი ამ გვარი წიგნები ღირან 10—30 კაპ., მაგრამ ხალხი მაინც ყიდულობს მათ. ეს გარემოება ნათლად ამტკიცებს, რომ ჩვენს ხალხში წიგნების კითხვის სურვილი დიდი ხანია არის, მაგრამ ჩვენი სამღვდელოება ჯერ კიდევ იმოდენად არ არის მომზადებული, რომ შესაფერი სულიერი საზრდო მიაწოდოს თავის სამწყსოს. შეიძლება ზემოთ აღნიშნული წიგნების გავრცელების მიზეზი ის იყოს, რომ იგინი თავის შინაარსით აკმაყოფილებენ გემოვნებას ხალხისას, რომელიც წიგნებისაგან ითხოვს თავისი ფანტაზიის შესაფერ საზრდოს,—მაგრამ რომ ხალხში არა ნაკლებ ვრცელდებიან სასულიერო შინაარსის წიგნებიც, ამის დასამტკიცებლად არ შეგვიძლია არ უჩვენოთ შემდეგ გარემოებაზე: 1876 წელში ჩვენ გამოვეცით მდაბიო ხალხისათვის საჭირო „ლოცვანი“ 2400 ცალი; დიდი ხანი არ გასულა და ჩვენ ხელ-ახლად დაგვჭირდა ამ ლოცვანის მეორედ გამოცემა. ამ ათი წლის წინად თბილისში ბრიტანიის საზოგადოებამ დაბეჭდა სახარება 7,000 ცალი და უველა ეს წიგნები უკვე გაყიდულა. განა ყოველივე ეს არ ამტკიცებს, რომ ჩვენს ხალხში არის სარწმუნოებრივი შინაარსის წიგნების კითხვის სურვილი?!

პროტესტანტები კარგად ხედვენ, რომ ჩვენ ხალხში საკმაოდ არის გავრცელებული წიგნების კითხვის სურვილი და ამით სარგებლობენ ისინი და ავრცელებენ ჩუენს ხალხში თავიანთ წიგნაკებს, რომლებიც არა ერთ გზის დაგვიჭერია და მოგვისპია. ამ დროს ჩვენი სამღვდელოება უურადღებას არ აქცევს ამას და არ სცდილობს მისცეს ხალხს სულიერი საზრდო. დროა, ჩვენმა სამღვდელოებამ უურადღება მიაქციოს ამ საუურადღებო საგანს და, ვისაც რითი შეუძლია, დააკმაყოფილოს ხალხის ეს სულიერი მოთხოვნილებანი.

დეკ. დ. ღამბაშიძე.

საქართველოს საეკლესიოს ეკლესიების და მონასტრების დათვალიერება მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის მთავარ-ეპისკოპოსის, საქართველოს ექსარხოსის პალლადისაგან.

(გაგრძელება *).

წარსულს №-ში ჩვენ მოვიხსენეთ, რომ ქუთაისის რკინის გზის სადგურიდგან საქართველოს ექსარხოსი, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი პალლადი წაბრძანდა ფოთში. სამტრედიის რკინის გზის სადგურზე მათ მეუფეებას შემოგება ფოთიდამ ბურია-სამეგრელოის ეპისკოპოზი, ყოველად სამღვდელო გრიგორი. ახალ-სენაკში მათ მეუფეებას მიეგებენ ახალ-სენაკის სასწავლებლის ზედამხედველი თავის თანაშემწით და მასწავლებლებით და მაზრის წარმომადგენელნი მაზრის უმფროსის წინამძღოლობით.

თუმცა ღამის 11 საათი იქნებოდა, მაგრამ ფოთის რკინის გზის სადგურზე მათ მეუფეებას მიეგებენ ქალაქ ფოთის წარმომადგენელნი და აუარებელი ხალხი. ქალაქის თავმა მათ მეუფეებას მიართვა პურ-მარილი. რკინის გზის სადგურიდგან მათი მეუფეება წაბრძანდა ყოველად სამღვდელო გრიგორის სახლში, სადაც ინება ღამის გათევა.

6 მაისს მათი იმპერატორებითი უდიდებულესობის, მემკვიდრე ცესარევიჩის, ნიკოლოზ ალექსანრდეს ძის დაბადების დღეს ფოთის ალექსანდრე-ნეველის საკათედრო სობოროში სწირა ყოველად სამღვდელო გრიგორიმ ქალაქის სამღვდელოების და ნახარების მონასტრის არქიმანდრიტის იონას თანამწირველობით. ხალხი წირვაზე დიდძალი დაესწრო.

10 საათზე მათი მეუფეება, ექსარხოსი მობრძანდა სობოროში. ყოველად სამღვდელო გრიგორი მიეგება მათ მეუფეებას სობოროს კარებთან ჯვრით და მოახსენა შემდეგი სიტყვა: «თქვენო მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობავ, მოწყალეო მწყემსთ-მთავარო! ჩემდამო რწმუნებული ეპარქია, რომელმანც ბევრი უბედურება გამოსცადა მცირე აზიის მოსლვამანთაგან, განუსაზღვრელი სიხარულით გეგებება შენ, საქართველოს ეკლესიის თავს, ქათალიკოსების და მთავარ-ეპისკოპოზების მოადგილეს და იმედი აქვს, რომ თქვენი მეუფეება არ მოაკლებს მასაც თავის მა-

*) იხ. „მწყემსი“ № 10 1888 წ.

მობრიე მზრუნველობას. ქურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა! ქურთხეულ არს მწყემსი, დიდად გამოცდილი ქრისტეს ეკლესიის მსახურების საქმეში, მწყემსი, რომელიც მუდამ და დაუძინებლად ზრუნავს ქრისტეს მორწმუნეთა კეთილ-დღეობისათვის, სადაც უნდა იყვნენ ისინი ჩვენი ერცელი იმპერიის კუთხეებში და სხვა-და-სხვა ნათესავთა და ხალხთა შორის. ქურთხეულ არს მწყემსი, რომელიც ჯვრით ხელში და დაბალი გულით დადის ამ ხალხთა შორის არა ისე, როგორც უფლების მექონე, არამედ როგორც მამა, როგორც მასწავლებელი და მოძღვარი. რომელსა უნებს თქვენ შორის წინა ყოფაი, იყოს იგი თქვენდა მონა, ამბობს უფალი ჩვენი იესო ქრისტე. მოვედ ჩვენ შორის, საყვარელო მწყემსთ-მთავარო, აღაშენე და წარმართე ჩვენი სულიერნი საქმენი; გაგვანათლე და გვასწავლე ჩვენ, ‖ ქადაგე სიტყვა ზედადგეგ უამითი უუამოდ, ამხილე, შერისხე და ნუ გეშინის-ჰგ ყოველითა სულგრძელებითა და მოძღვრებითა (2 ტიმ. 4, 1—2). ჩემი სამწყსო საჭიროებს თქვენს განათლებულს შემწეობას და მოელის თქვენგნით იმავე მზრუნველობას, რომელიც თქვენ გამოიჩინეთ თვით რუსეთშივე. ჩემი სამწყსო ყოველთვის გულითადი მადლობელი დარჩებაიმ მზრუნველობისათვის, რომელსაც თქვენი მეუფება მოიღებს მასზე. ქურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა».

ჩვეულებრივი მცირე შეგვიწყალენის შემდეგ, მაღალ ყოველად უსამღვდელოესმა პალლადიმ წარმოსთქვა მგრძნობიარე სიტყვა, რომელშიაც, სხვათა შორის, შეეხო ხელმწიფე მემკვიდრის დაბადების დღეს და ბრძანა, რომ ხალხმა უნდა ეძიოს თავის ბედნიერება და კეთილ-დღეობა მეფისადმი სრულს მორჩილებაში და სამშობლოის ერთგულ სამსახურშიო, შემდეგ მათმა მეუფებამ მოუწოდა ყველა მლოცველებს, რათა ერთად შეევედრონ ღმერთს ხელმწიფე მემკვიდრის ნიკოლოზ ალექსანდრეს ძის წარმატებისა და მშვიდობისათვის. სიტყვის გათავების შემდეგ დაიწყო წირვა.

წირვის გათავების შემდეგ სამადლობელი პარაკლისი შეასრულა თვით მათმა მეუფებამ ყოვლად სამღვდელო გრიგორის და მრავალი სამღვდელოებითურთ. პარაკლისის გათავების შემდეგ მათმა მეუფებამ დაურიგა ხალხს ჯვრები, პატარა ხატები და თავის სიტყვები, პატარა წიგნაკებად გამოცემულნი.

ეკლესიიდამ მათი მეუფება წაბრძანდა ყოველად სამღვდელო გრიგორის სადგომში, სადაც ორ საათზე მიიღო ქალაქის წარმომადგენელნი, რომელთაგან უ. ლ. ჭიჭინაძემ მოახსენა მათ მეუფებას მოკლე სიტყვა; ამ სიტყვაში ბ. ჭიჭინაძემ გამოხატა თავის ორ ნაირი სიხარული, რომელიც აღძრა მასში ერთის მხრით ხელმწიფე მემკვიდრის ბრწყინვალე დაბადების დღემ და მეორეს მხრით მათი მეუფების ფოთში მობრძანებამ, ამასთანავე ბ. ჭიჭინაძემ მოკლედ განმარტა, თუ რა შეხედულება აქვს ჩვენს ხალხს მწყემსთ-მთავრებზე. დასასრულ ბ. ჭიჭინაძემ მოახსენა მათ მეუფებას, რომ ქალაქ ფოთის მკვიდრნი სრული დაიმედებულნი არიანო, რომ მათი მეუფება მიიღებს მხედველობაში ქალაქ ფოთის შეწირულებას სასულიერო სასწავლებლის სასარგებლოდ და სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლი გადმოტანილ იქნება ფოთშიო. მწყემსთ-მთავარმა მადლობა შესწირა ქალაქის ყველა წარმომადგენელთ, აღუთქვა მათ ქალაქ ფოთის და სასულიერო სასწავლებლისათვის დანიშნული ადგილის დათვალიერება და მასთანავე დასძინა, რომ სანამ მათი მეუფება თვით ადგილობით არ დაათვალიერებს ყველა ადგილებს, სადაც კი სურსთ გადატანილ იქნეს ეს სასწავლებელი, მანამომდე სასწავლებლის გადატანაზე, სადაც უნდა იყოს იგი, ვერას იტყვის. ამასთან ისიც იქონიეთ სახეშიო, ბრძანა ექსარხოსმა, რომ დაბოლოებითი გარდაწყვეტა ამა კითხვისა დამოკიდებულია უწმიდეს სინოდზეო. ბოლოს მათმა მეუფებამ წინადადება მისცა ფოთელებს, რომ მათ აღაშენონ უფრო ერცელი ტაძარი, რომელიც შეეფერებოდეს ეპისკოპოზის კათედრასო.

ნაშუადღევის მესამე საათზე მათმა მეუფებამ მირთვა სადილი, რომელზედაც ყოველად სამღვდელო გრიგორის მიპატიჟებული ჰყავდა აგრეთვე ქალაქის წარმომადგენელნიც. სადილზე მათი მეუფება ტკბილად ემუსაიფებოდა როგორც მასპინძელს, ისე ყველა სტუმრებს. სადილის შემდეგ, 6 საათზე მათი მეუფება წაბრძანდა ქალაქ ფოთის, სასწავლებლისათვის დანიშნული ადგილის და ფოთის ნავთ-სადგურის დასათვალიერებლად; უკან დაბრუნების დროს მათმა მეუფებამ დაათვალიერა ფოთის სამხედრო ეკლესია, რომელშიაც, შემდეგ ჩვეულებრივი შეგვიწყალენისა, მათმა მეუფებამ აკურთხა ხალხი და დაურიგა ყველას ჯვრები და ხატები.

7 მაისს, 9 საათზე მათი მეუფება გაემგზავრა ფოთიდამ სუხუმში. ამავე დღეს, ნაშუადღევის მეოთხე საათზე სუხუმის ნავთ-სადგურში მათ მეუფებას მიეგება ქალაქის წარმომადგენელნი სუხუმის მაზრის

უმფროსის ბ. ფედენსკის წინამძღოლობით. საზოგადოებამ მათ მეუფებას მიართვა პურ-მარილი. ნავთსადგურიდგან მათი მეუფება წაბრძანდა პირ-და-პირ ეკკლესიაში, სადაც მათ მეუფებას მიეგება ყოველად სამღვდელო ბენნადი სამღვდელოებით. შემდეგ ჩვეულებრივი შეგვიწყალენისა, მათმა მეუფებამ წარმოსთქვა მოკლე სიტყვა და გარდასცა ხალხს ლოცვა-კურთხევა. ეკკლესიიდგან მათი მეუფება წაბრძანდა თავად შერვაშიძის სასახლეში, სადაც გაათია ღამე.

8 მაისს მათი მეუფება წირვის მოსასმენად წაბრძანდა დრანდის მონასტერში, სადაც მწირველი ბრძანდებოდა სუხუმის ეპისკოპოზი, ყოველად სამღვდელო ბენნადი. წირვის გათავების შემდეგ მათმა მეუფებამ გადიხადა პანაშვიდი გარდაცვალებულის კნეინა ნადეჟდა ა. დონდუკოვ-ქარსაკოვის მეუღლის სულის მოსახსენებლად. როცა ეკკლესიიდგან გამობრძანდა, მათმა მეუფებამ დაათვალიერა მონასტერი და ყველა მისი შენობები და ისურვა მონასტრისათვის და მათში მცხოვრებ ბერ-მონაზონებისათვის კეთილ-წარმატება. საღამოს სამ საათზე მათი მეუფება დაბრუნდა სუხუმში, საიდამაც ყოველად სამღვდელო ბენნადისთან ერთად ფილიუკით წაბრძანდა ახალი ათონის მონასტერში, რომელიც მოშორებულია სუხუმზე 24 ვერსით. ნაშუალამევის პირველი საათის ნახევარზე მათ მეუფებას მიეგება ნავთსადგურში მონასტრის წინამძღვარი მონასტრის ყველა ძმებითურთ და მრავალი მლოცველები. აქედგან მათი მეუფება წაბრძანდა პირ-და-პირ მონასტრის უმთავრეს ტაძარში, სადაც მათი მეუფების მისაღებად ყოველივე მზად იყო. აქ მცირე შეგვიწყალენის შემდეგ, მათმა მეუფებამ წარმოათქვა მოკლე სიტყვა, გადაცა ლოცვა-კურთხევა ბერ-მონაზონთ და მლოცველებს და შემდეგ წაბრძანდა ყოველად სამღვდელო ბენნადის მოსასვენებელ ოთახში. მეორე დღეს, 9 მაისს ნიკოლოზის დღეს, მწყემსთ-მთავარმა წირვის შემდეგ, რომელიც შეასრულა ყოველად სამღვდელო ბენნადიმ, შეასრულა პარაკლისი სასწაულთ-მოქმედის წმ. ნიკოლოზის დღისა. 10 მაისს, მონასტრის უმთავრეს დღესასწაულს, წმ. მოციქულის სიმონ კანანიტის მოსახსენებელ დღეს, ექსარხოსმა ყოველად სამღვდელო ბენნადით, საქართველო—იმერეთის სინოდალური კანტორის წევრის ნიკოლოზის, წინამძღვრის იერონიმეთი და სხვა ბერმონაზონებისა თანამწირველობით სწირა იმტაძარში, რომელიც აღშენებულია სიმონ ქანანიტის სახელზე. წირვის შემდეგ მათმა მეუფებამ წარმოსთქვა სიტყვა სამღვრთო წერილის შემდეგ სიტყვებზე: «ესრეთ ბრწყინავდინ ნათელი თქვენი წინაშე კაცთა, რათა იხილონ საქმენი თქვენი კეთილნი და ადიდებდენ მამასა თქვენსა ზეცათასა». მწყემსთ-მთავარმა თავის სიტყვაში განმარტა მონასტრის მისიონერული მნიშვნელობა ადგილობით გაუნათლებელ მკვიდრთა შორის, უჩვენა მონასტრის ძმათა, თუ რა ითხოვება მათგან, რომ მათმა მოქმედებამ სასურველი ნაყოფი მოიტანოს. მწყემსთ-მთავრის სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე.

10 მაისს მათი მეუფება, საქართველოს ექსარხოსი გამობრძანდა ახალი-ათონიდამ და მეორე დღეს, დილით, რვა საათზე მობრძანდა ბათუმში, სადაც მათ მეუფებას შეეგება ყოველად სამღვდელო ბრიგორი. მათმა მეუფებამ ბათუმში დაათვალიერა ბათუმის მართლ-მადიდებელი და ბერძნის ეკკლესიები, დაათვალიერა აგრეთვე ის ადგილი, რომელიც დანიშნულია ახალი დიდი სობოროსათვის, რომლის აღსაშენებლად უკვე შეკრებილია 170,000 მან. ცხრა საათზე მათი მეუფება გაემგზავრა რკინის გზით ნატანების სადგურისაკენ, საიდამაც მათი მეუფება წაბრძანდა ოზურგეთში.

ქალაქ ოზურგეთის მცხოვრებლებმა თუმცა ოთხი საათის წინეთ გაიგეს მათი მეუფების მობრძანება, მაგრამ თითქმის მთელი მცხოვრებნი გამოეგებენ მათ მეუფებას. ის გზა, რომლითაც მათი მეუფება უნდა შებრძანებულიყო ქალაქის ეკკლესიაში, მოფენილი იყო ყვავილებითა. ერთი სიტყვით ოზურგეთლები დიდის აღტაცებით მიეგებენ მათ მეუფებას. ოზურგეთის სამღვდელოება მიეგება მათ მეუფებას ეკკლესიების კარებში. შემოქმედის მონასტრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა ამბროსიმ მათ მეუფებას მოახსენა შემდეგი სიტყვა:

«თქვენო მაღალ ყოველად უსამღვდელოესობავ, მოწყალეო მწყემსთ-მთავარო!

ბულ-წრფელი გრძნობით და სიყვარულით, განუსაზღვრელი პატივისცემით და გულითადი სიყვარულით გეგებება თქვენ შორეული ნაწილი ერცელი საქართველოს საექსარხოსოისა—ბურია.

თუმცა საქართველოს სატახტო ქალაქის მკვიდნი განსაკუთრებული სიხარულით მიეგება თქვენი ძეუფების საქართველოს სამწყსოში შემობრძანებას, მით უმეტეს სასიხარულოა თქვენი მობრძანება თქვენდამი რწმუნებული საექსარხოსოის ამ განაპირა კუთხეში.

ჩვენს სიხარულს აორკეცებს ის ხმები, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვესმა ჩვენ თქვენ ბრძნულ მმართველობაზე და იმ უებარ ზომებზე, რომელთაგან ნათლად იხედება თქვენი მეუფების განათლებული მოღვაწეობა საქართველოს ეკლესიისა და სამღვდელოების საკეთილდღეოდ და სასარგებლოდ. ამისათვის ვმადლობთ მკვდრეთით აღდგომილს, რომ მან მოანიჭა საქართველოს სამწყსოს თქვენის მეუფებისთანა სახელოვანი მწყემსთ-მთავარი, კეთილ-გულოვანი მამა, განათლებული, კაცური და ბრძენი წინამძღოლი.

თქვენდამი რწმუნებულის საეკსარხოსოის ყველა კუთხეებზე ბურია ნამეტნავად საჭიროებს თქვენი მეუფებისთანა სახელოვანს წარმომადგენელს და ხელმძღვანელს. ამა კუთხის წარსულმა და აწმყომა, მისმა ისტორიულმა და ადგილობითმა პირობებმა შეაფერხეს მისი მდგომარეობა. რადგან ბურია მოსლემანთა მახლობლად მდებარეობდა, ამიტომ ამ ქვეყანამ ბევრი განსაცდელი გამოსცადა მაჰმადის თაყვანის მცემელთაგან, რომელთაც არა ერთ გზის აუოხრებიათ ეს ქვეყანა; მოსლემანებთან შეტაკება და ჩხუბი ძვირად უჯდებოდა ბურიას; ამასთანავე მოსლემანებს დიდი ზედ გავლენა ჰქონდათ გურულების სარწმუნოებაზე და ზნეობაზე: და მართლაც ამ ურწმუნო ხალხთან ხანგრძლივ ბრძოლას და მათგან შევიწროებას დამღუპველი ზედ-გავლენა ჰქონდა მართლ-მადიდებელ ბურიაზე და მის ახლო მახლო მცხოვრებლებზე; მოსლემანებმა თავის წარუხოცელი ბეჭედი დაასვეს ბურიის და მის მახლობელ მკვიდრთა სულიერ ცხოვრებას. ბული გიწუხს კაცს, როცა იგონებ აჭარლებს, ბათუმის და ართვინის სამფლობელოების მკვიდრთა, რომელნიც ღვიძლი ძმები იყვნენ მართლ-მადიდებელი ქართველებისა, და რომელნიც დღეს, ისტორიულ გარემოებათა გამო, უკვე გაჰჰამადიანებულნი არიან.

რაღა უნდა ვსთქვათ ბურიის სამღვდელოებაზე, მის გონებრივ, ზნეობრივ და ნივთიერ მდგომარეობაზე და ადგილობით მონასტრების და ეკლესიების მდგომარეობაზე? ამ უსაჭიროეს კითხვებზე, რომელნიც შეადგენენ უმთავრეს საგანს თქვენი მეფეების მზრუნველობისა და მოღვაწეობისას, შეგვიძლია პასუხი მივსცეთ მხოლოდ მაცხოვრის შემდეგი სიტყვებით: ვითარმედ სამკვლი ფრინდ არს, სოდოო მუშაკნი მცირედ (მათ. 9, 37). მართალია, ამ უკანასკნელ დროს თავის არსებობისას წამებულმა საქართველომ ჰპოვა დიდი მფარველი და კეთილის მყოფელი ჩვენს უავგუსტოეს ხელმწიფეში, ბურიის და მისი მეზობლების შესახებაც შეიძლება ესთქვათ, რომ იგი კაი ხანია, რაც მოსვენებულია ურწმუნო მტრებისაგან, მაგრამ ჯერ კიდევ არ უგემებია მას მაცხოვარებითი ნაყოფი ქრისტიანობისა, რომელიც ანათლებს გულსა და გონებასა.

აგეთია მდგომარეობა ამა მხარისა და მისი სამღვდელოებისა. ხწორეთ ამით აიხსნება ის სიხარული, რომლითაც აღვსილია ყოველი გურულის გული თქვენი მეუფების მობრძანებისა გამო.

ჩვენ დაიმედებული ვართ, რომ თქვენი მაღალ ყოველად უსამღვდელოესობა, მიაქცევს რა თავის განათლებულ გონებას და ბრძნულ გამოცდილებას ამა ქვეყნის მდგომარეობას, მიიღებს მამობრივ მზრუნველობას, რათა აღამაღლოს ბურიის მკვიდრნი და მისი სამღვდელოება სარწმუნოებრივ-ზნეობრივის მხრით, რაისათვისაც უკანასკნელნი მოიხრიან თავსა, მოვლენ თქვენდამო, რათა გამოითხოვონ მწყემსთ-მთავრისაგან ლოცვა კურთხევა. მოვედ, მაღალ ყოველად უსამღვდელოესო მეუფეო, და აკურთხე სამწყსო შენი».

ამ სიტყვის შემდეგ შესრულებულ იქმნა მცირე შეგვიწყალენი, რომლის შემდეგ მათმა მეუფებამ ბრძანა მოკლე სიტყვა, აკურთხა ყველანი და ეკლესიიდგან წაბრძანდა თავადის ბრიგორ დავითის ძის ბურიელის სასახლეში; აქედგან ექსარხოსი წაბრძანდა სასულიერო სასწავლებლის დასახედავად; მათმა მეუფებამ დაიარა ყველა კლასები, ჰკითხავდა მოწაფეებს და აძლევდა მათ დარიგებას. მათმა მეუფებამ დაათვალიერა აგრეთვე სამოქალაქო სასწავლებელიც. მათი მეუფება სადილათ მიპატიჟებული იყო თავად ბურიელისაგან. 11 მაისს, საღამოს მათი მეუფება ყოველად სამღვდელო ბრიგორისთან ერთად წაბრძანდა ნატანების რკინის გზის სადგურზე, საიდამაც რკინის გზით წაბრძანდა სამტრედიაში, სადაც მათმა მეუფებამ გაათია ღამე.

დეკ. დ. ღამბაშიძე.

სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის ოლქის სამღვდელოების დეპუტატების შეკრებილება ახალ-სენაკში.

30 მაისისათვის ახალ სენაკში სამეგრელოს სამღვდელოების დეპუტატების კრება იყო დანიშნული ყოველად სამღვდელო ბრიგორისაგან. ამ კრებაზე სამღვდელოების დეპუტატებს საბოლოოდ უნდა გადაეწყვიტათ სამეგრელოს სასულიერო ოთხ-კლასიანი სასწავლებლის მარტვილში გადატანა, ან ახალ-სენაკშივე დატოვება. დანიშნულ დღეს ახალ-სენაკში შეიკრიბნენ, თითქმის, ყველა დეპუტატები, გარდა 5—6-ისა ლეჩხუმიდამ, რომელნიც ვერ მოვიდნენ დანიშნულს დროს სიშორისა გამო. პრებამ თავს-მჯდომარედ აირჩია ფ. ოთის საკათედრო-ტაძრის დეკანოზი მ. ბრიგორ მაჭარაშვილი. მთელი ორი დღე ჰქონდა კრებას მსჯელობა სასწავლებლისათვის ახალი ადგილის გამორჩევაზე, მაგრამ დეპუტატები მაინც კიდევ ვერ შეთანხმდენ ერთმანერთში და საბოლოოდ ვერ გადასწყვიტეს, თუ რომელ ადგილას გადაიტანონ სასწავლებელი. სამღვდელოების დეპუტატების ერთმანეთში უთანხმოებას ძლიერ ხელი შეუწყო კრების საქმეში საერო წოდების პირთა გარევამაც ეს პირნი ცდილობენ, რომ სასწავლებელი დარჩეს ახალ-სენაკში, რომ სასწავლებლის სხვა ადგილს გადატანით მათ არ მოაკლდეს ის სარგებლობა, რომელსაც აქაურები მოელიან სასწავლებლისაგან. 31 მაისს, როდესაც საქმე უნდა გათავებულიყო, კრების თავს-მჯდომარე ავადგახდა და, რადგან დეპუტატებს დრო აღარ რჩებოდათ ამაღლების დღესასწაულისა გამო, კრებამ ამ კითხვის გადაწყვეტა გადასდვა სამერმისოთ და ისურვა, რომ შემდეგისათვის ყველა დეპუტატები მოვიდენ კრებაზე. ასე უნაყოფოთ გათავდა ეს კრება, რომელზედაც შესაძლო იყო კრების უმთავრესი საგნის საბოლოოდ გადაწყვეტა.

ზოგიერთმა ბლაღოჩინებმა და მღვდლებმა წინადვე ითხოვეს, რომ სამღვდელოების კრება არ მომხდარიყო ახალ-სენაკში, ვინაიდგან საერო-წოდების პირნი ერევიან ყოველთვის სამღვდელოების საქმეში და ხელს უშლიან საქმის რიგიანათ მსვლელობასო, მაგრამ ამ პირების განცხადებაზე არ იქნა ყურადღება მიქცეული, თუმცა ამ განცხადების საფუძველიანობა აშკარად დამტკიცდა ამ უკანასკნელ კრებაზე.

სასურველია, რომ შემდეგში სამღვდელოების კრება ამ კითხვის გადასაწყვეტად მოხდეს მარტვილში, ანუ სხვა რომელიმე ადგილს გარდა ახალ-სენაკისა და სამღვდელოების დეპუტატებიც იქნენ აღრჩეულნი სინოდის უქაზისა მებრ.

ბოლიდვან.

მაისის ცამეტს აკურთხეს ბორის ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებლის ახალი სახლის საძირკველი. სასწავლებლის ზედამხედველმა ბ. დ. დათოშვილმა მიიწვია ბორის მართლ-მადიდებელი სამღვდელობა და მასწავლებელნი. შენობის ადგილზე სამადლობელი პარაკლისი გადაიხადა ბორის სობოროს დეკანოზმა ბესარიონ თავდგირიძემ სობოროს მთელი კრებულითურთ. პარაკლისის გადახდის დროს დიდ-ძალი ხალხი შეიკრიბა. როცა პარაკლისი შეასრულეს, მღვდელმა იოილ გამრეკელმა წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა:

«დღეს ბორის სამღვდელო და საერო პირთა მოვიყარეთ აქ თავი, რომ შევსთხოვოთ ყოველად მოწყალე ღმერთსა, რათა მან მოგვცეს ჩვენ მიერ დაწყებულ სასულიერო სასწავლებლისათვის ახალი სახლის აშენების საქმეში ძალა და შეძლება, რომ კეთილად და მშვიდობიანად დაგვემთავრებინოს ეს კეთილი საქმე.

კაი ხანია, რაც ჩვენმა სამღვდელოებამ საჭიროდ დაინახა სასულიერო სასწავლებლისათვის ახალის შენობის აღმართვა, რომლისათვის იგი არ ზოგავს თავის უკანასკნელს წვლილს, ოღონდ მათმა შვილებმა ჯეროვანი სწავლა-განათლება მიიღონ ამ სასსავლებელში. დიდი ხნის მოსაზრების, საქმის აწონ-დაწონის და მომზადების შემდეგ, ეს კეთილი აზრი უკვე განხორციელდა.

ყველა ჩვენგანმა კარგათ უწყის, რომ ყოველ საქმეს მხოლოდ მაშინ ეძლევა მომეტებული სიცოცხლე, როდესაც მას ჰკიდებენ ხელს მრავალნი პირნი შეერთებულის ძალით. ყოველ კეთილ-საქმეში საჭიროა დახმარება და შემწეობა მახლობელთაგან. ესრეთი დახმარება უნდა იყვეს მუდმივი და არა დროებითი.

ყოველს კეთილს და სასარგებლო საქმეში შემწეობას უნდა ვაძლევდეთ ერთმანეთს და შეერთებულის ძმურის ძალით უნდა ვამხნევებდეთ ერთმანერთს, რომ მივაღწიოთ ყველასათვის სასურველს საერთო მიზანს, «რათა სრულ იყოს ღვთისა კაცი იგი, ყოველისა მიმართ საქმისა კეთილისა განმტკიცებული (პავლე მოციქ.).

თუ გვინდა რომ მტკიცე და მკვიდრ ნიადაგზედ იყოს დამყარებული ეს სასიქადულო საქმე, რომელსაც ჩვენ უკვე შეუდექით, თუ გვინდა, რომ ჩვენმა შვილებმა და შვილის-შვილებმა ამ სასწაველებელში შეიძინონ სწავლა, რომლის შემწეობით სძლიონ უმეცრებას, პირნათლად გაუძღვენენ ჭირსა და ლხინსა, მოჰფინონ ხალხში განათლება, განჰფანტონ სიბნელე გონებისა და აღმაღლონ ზნეობა, ნუ დავზოგავთ, შეძლებისა და გვარად, შრომას და ღვაწლს, ნუ მოვერიდებით დაბრკოლებათ; დამტკიცებულია საზოგადოთ, რომ ყოველ კეთილ საქმეს წინ გადაეღობება ხოლმე დაბრკოლება, მაგრამ ჩვენ უნდა ვსძლიოთ ამ დაბრკოლებათა იმ იმედით, რომ ჩვენი შთამომაველობა დააფასებს ჩვენგნით ტანჯვით და მოთმინებით განვლილს ცხოვრებას.

ზითელ პარასკევს.

გზათაბჭულია, ბუნება სარბობს,—
ბრწყინავს ოკეანეან ბედნიერება!
ღვთის ეკკლესია მხოლოდ გლოვობს,
რა აგონდება ქრისტეს წვალება.

—

იქა ტეტლი, კვამლი საკმლისა
უკვეილებია და სუნნელება;
საუდრიდგან ისმის გლოვა ზარისა,
ბუნებაც ღმერთსა ემსახურება.

—

სულო, შენ რაღას ფიქრობ?
სად გაქვს უკვეილი, ან სუნნელება,—
რატომ გულით და სულით არ ოხრავ,
რათ არ გეძლევა ეს მწუხარება?

—

ჭგლოვდე, ტირიდე და თან ემთხვიე
ამ მშვენიერსა უკვდავსა სახეს,
რომელმან მოგვცა ბედნიერება,
მოჭფინა ქვეყნად ამ არე—მარეს...

—

აჭა ის ბაგე, რომელმან ბრძანა:
«მოგვედ მაშვრალნო და ტვირთ მძიმენო»,
ჩემით იხარებთ, თუ რომ გაქვსთ სმენა
«აიღარეთ ჯვარი, თავსა იდეთო»...

—

მაშ ვვედრი ამ თავს, შეხვეულს ეკლით:
გაკმარეს დევნა, ტანჯვა გულთ კოდილთ;
ვვედრი მე ამას ცხარეს ცრემლით,
მას უბრძენესსა წმიდისა გულით.

—

ჭოი უფალო! შენ უწყი, შენა გრძნობ,
შენა სარ ეკელს გულთა მსილავი,
შენ ხვენ განძრასვას ეკეთა იცნობ,
შენვე გვაშორე სულთა მხუთავი!..

—

ბვედრი იესო, იესო ტკბილო!
შენ ეუკ შემწე მთლად საქართველოს!
აშორე ტანჯვა, აშორე ჭირი,
აკმარე მათზედ სხვათ გულის ძვირი...

—

აღმოთქვარ შენვე უსამართლობა,
ტილის წამება და ორბირობა;
მიეც მონათა თავისუფლება,
მოსპე ეოკეანეან შენ ბოროტება.

მ. ი. გ.

აღდგომა დღეს.

ქრისტე აღსდგა! მოდით, ძმებო,
სიხარულად გარდავიქცეთ,
შურსა, მტრობას, მეგობრებო,
განვეშორეთ, უკუ ვიქცეთ!...

—

უკან ძრახვას, ოხშივრობას,
მოვერიდნეთ, ეურს ნუ უგდებთ,
ძმების კიდვას ბოროტებას,
ვსდევნოთ, ახლოს არ მიუდგეთ.

—

თავი დავსდოთ სიმართლისთვის,
სიტყვასდე მასვე შევსწირეთ;
თუ დროც გვითხრობს სიკვდილისთვის
მოდი უკან ნუ დავიხევთ...

—

ქრისტე აღსდგა! ზეშმარიტად!
ხალხს მოჰფინა სიხარული,
გარდასტეხა ბნელი ნათლად,
მოსპო მან ქვეყნად სიკვდილი!...

მ. ი. გ—ლოვი.

ახალი ამბები და შენიშვნები.

თბილისის სასულიერო მართლ-მადიდებელ სემინარიაში წელს სწავლა შეასრულეს 13 მოწაფემ: ია. ლაბაძემ, დ. სუხიაშვილმა, ძ. ცინცაძემ, დ. აბაშიძემ, ა. ბიორგაძემ, ა. თოხაძემ, ჰ. ბარნაბაშვილმა, ი. თურქაძემ, ი. აიეაზოვმა, მ. ღვთისავაროვმა, ა. ოლბოლენსკიმ, ბ. ფურცელაძემ და ს. ქურდოვანიძემ.

ძაი ხანია, რაც ამ სემინარიიდგან აღარავინ გაუგზავნიათ სასულიერო აკადემიაში. მაგრამ წელს, მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის, საქართველოს ექსარხოსის პალლადის განკარგულებით, აკადემიაში იგზავნება ძალ. ცინცაძე. დანარჩენ კურს შესრულებულთაგან თითქმის ყველანი სურვობენ მღვდლად წასვლას, მაგრამ ადგილებს ვერ შოობენ. ამისი მიზეზისა გამო ზოგიერთმა კურს შესრულებულმა იმერლებმა სურვილი განაცხადეს წავიდნენ მღვდლად ქართლის ეპარქიაში, სადაც ისინი კარგს ადგილებს შოობენ. ჩვენის აზრით ეს გარემოება გამოიწვევს იმას, რომ ქართლელებშიაც აღმოჩნდებიან დასავლეთის საქართველოის ეპარქიებში მღვდელობის ადგილების მსურველნი პირნი.

***

მომავალი წლიდგან თბილისის სასულიერო სემინარიაში, ექსარხოსის შუამდგომლობისა მებრ, სემინარიის მეხუთე და მეექვსე კლასებში შემოღებულ იქნება საექიმო სწავლა. ეს გარემოება ძლიერ სასიამოვნო არის ჩვენი სამღვდელოებისა და საზოგადოებისათვის. იმედია, რომ ამ საგნის შესწავლას მოწაფეებიც ერთგულად მოჰკიდებენ ხელს, რადგან ამ გვარი სწავლა ძალიან გამოადგებათ მათ ცხოვრებაში.

***

ჩვენ გვატყობინებენ ახალ-სენაკიდამ, რომ ბლაღოჩინს მღვდელს ანტონ ქეკელიას ხუთი თუმანი შეუწირავს საეკლესიო-სამრეველო სკოლების სასარგებლოდ. ეს საქები საქციელია მამა ქეკელიასი და ვისურვებთ, სხვებსაც წაებაძოს მისთვის.

***

თბილისის ქუკიის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის დეკანოზი მ. პეტრე იმნაძე, შემდეგ ხანგრძლივი ავადმყოფობისა, გარდაიცვალა ამა თვის ხუთს. განსვენებული შობიდგან იყო 64 წლისა და თავის მოვალეობას, შეძლებისა და გვარად, ერთგულად ასრულებდა. განსვენებულს დარჩა შვილები და საკმაო შეძლება.

***

ამ ორი წლის წინად დაიბეჭდა სინოდალნი კანტორის განკარგულებით საკმაო რიცხვი ჟამნისა და კონდაკისა და დადგენილ იქნა, რომ ყველა ეს წიგნები გაეგზავნათ საექსარხოსოის ყველა ეკლესიებზე. იმერეთის და ზურია-სამეგრელოის ეპარქიებში ეკლესიებისათვის მაშინ საჭირო არ იყო ეს წიგნები, ამიტომ ამ ეპარქიების ეკლესიებისათვის გამოგზავნილი წიგნები ხელუხლებლად აწყვიან ქუთაისში და ფოთში, თბილისში კი მსურველს არც ერთი ამ წიგნის მოპოვება არ შეუძლია. ამიტომ საჭიროა, უკანვე გამოითხოვონ ამ წიგნების საჭირო რიცხვი მსურველთათვის.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საღვთმეტყველებასა და კეთილმნებელობაზე.

სიტყვა,

საქართველოს ექსარხოსის, მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესის პალლადისა ბრძის კეირიაკესა ზედა ბრძათა სასარგებლოდ ეკკლესიებში კეთილმნებელობით შეწირულებათა შეკრების დროს.

> ხოლო კეთილსა საქმესა და ზიარებასა ნუ დაივიწყებთ; რამეთუ ესე ვითარნი მსხვერპლნი სათნო არიან ღმრთისა (ებრაელ. 13, 16).

დღეს წაკითხულ ქრისტეს სახარებაში თქვენ მოისმინეთ, ძმანო, გულის გასაგმირავი და ზეციერ სასწავლო ისტორია დაბადებიდგან ბრძის სასწაულებრივ განგურნებაზე, რომელიც შასრულა უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ. ამ სასწაულის მოსაგონებლად წმ. ეკკლესიამ დაადგინა ყოველ-წლობით ამ ისტორიული შეთხვევის დღესასწაულობა პასექის შემდეგ მეხუთე კვირიაკეს; ამისათვის თვით დღეის კვირა იწოდება «ბრძის კვირიაკედ», — ამიტომ მადლია მოვიგონოთ დღეს ჩვენი საბრალო ბრძენი, რომელთა რიცხვი ჩვენს სამშობლოში იქნება არა ნაკლებ 100,000 კაცისა, რომელნიც დღეს, რადგან ჩვენ არა გვაქვს მათთვის ხეირიანად მოწყობილი თავ-შესაფარი და ადსაზრდელი სახლები, აძულებულნი არიან გატარონ თავიანთი ცხოვრება უბედურად და მასთან იგინი მძიმე ტვირთი არიან, როგორც თავიანთ ოჯახისათვის, აგრეთვე მთელი საზოგადოებისათვის.

საბრძავე ერთი დიდი უბედურებათგანია, რომელიც შეიძლება შეემთხვეს კაცს. ბრძა კაცმა მთელი თავის საბრალო სიცოცხლე უნდა გატარონ წვალებაში, უსაქმოდ, უსარგებლოდ როგორც თავის-თავისა, ისე სხვისთვის, იგი ვერ გრძნობს იმ სიხარულს, რომელსაც ვგრძნობთ ჩვენ ხიდული ქვეყნის ხიდვით. თვით ბრძა კაცის შეხედვა უნებლიედ ჭბადავს ჩვენში გრძნობას, რომ შეშველება აღმოუჩინოთ მას და ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ბრძები უფრო შებრალებას ჭბოებენ კეთილის-მოფფელთაგან და გლახაკთა შორის ბრძებს უფრო მეტ მოწყალებას აძლევენ.

მაგრამ საბოლოო და საზოგადოდ ერთი მხოლოდ კერძო ნიკოთიერი შეშველობა არა კმარა ბრძათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად; ამისთანა შეშველობა უზრუნველ ჭყოფს მათ მხოლოდ აწმყო დროში და მომავალი დროისათვის კი უნუგეშოდ რჩებიან იგინი უმეტესად. უმთავრესი მიზანი ბრძათა შეშველობისა უნდა მდგომარეობდეს მასში, რომ რაც შეიძლება დაუასლოვოთ ისინი თავლ-ხიდულთა, მივაჩვიოთ ისინი შრომას, რომელმაც გაარჩოს ისინი და მასთან მისცეს მათ საშუალება დღიური საჩინოს მოპოებისა.

ეი ამ მაღალ კეთილ-მოუკარული მიზნით, რომ ნამდვილ შეშველობა აღმოუჩინონ ბრძებს, არის დაარსებული რუსეთში განსაკუთრებითი საბოლოო საბზრუნველო ბრძათათვის. ეს საბზრუნველო თავდაბირველად ზრუნავდა ჩვენი საშობლოის პატივის და დიდების დამცველ მამაც მხედრებზე, რომელთაც სათითრეთოთან უკანასკნელი ხხუბის დროს დაჭკარგეს მხედველობა. იგინი საშობლოის საშსახურში მოკალდენ თვით უმვირფასეს ღვთის ნიჭს—მხედველობას, რაისა გამო მათ ვერარ შესძლეს თავისი საკუთარის შრომით თავის რჩენა. ამიტომ ბრძა მხედრები შეიქნენ მძიმე ტვირთი როგორც თავიანთ ოჯახებისათვის, აგრეთვე საზოგადოებისათვის; მათთვის საჭირო არა მარტო მცირე შეშველობა მათი არსებობისათვის, არამედ მუდმივი მოვლაც. შემდეგ საბზრუნველომ შესაძლოდ ჭბოვა გაეგრცელებია თავისი მოქმედება ამ საგნის შესახებ და მიიღო თავის მზრუნველობის ქვეშ საზოგადოდ ყველა ბრძები ჩვენი საშშობლოისა გაურჩეველად წოდებისა, სქესისა და წლოვანებისა. ეს კეთილ-მოფფელი საბზრუნველო იმოფფება უკეთილ მსახურესის ხელმწიფეს იმპერატრიცას უაგუსტოეს მფარველობასა შინა.

რადგან ასეთი კეთილ-მოუკარული, ქრისტიანული და პატრიოტული საქმეა ბრძათა შეშველობის საქმე, რომელ კეთილ კაცში არ აღიძრება საბრალული ბრძათადმი, რომელნიც ჩვენი ძმები არიან, და ვინ არ შესწირავს ამ კეთილ საქმეს თავის უკანასკნელ წვლილს, რომ ამით გაუჯობესებულ იქმნეს ამ საბრალოთა მდგომარეობა? ყოველივე მსხვერპლი, ყოველივე სახუქარი, ამ ღვთის საქმისათვის შეწირული, რაც უნდა მცირე იყოს იგი, რაცა ერთად შეგროვდებიან სხვა შეწირულებასთან, შეძლებას მოგვცემენ განვახორციელოთ მცნება ქრისტე მცხოვრისა ბრძათა შეწყალებაზე, და მივსედოთ უპატრო-

ნოდ დარჩენილ სიბრალულებს, გაკანონოთ, მიგაჩვიოთ იგინი შრომას და უზრუნველ ვყოთ მათი მდგომარეობა.

გევედრებით თქვენ, ძმანო, რათა დახმარება აღმოუჩინოთ ამ წმიდა საქმეს ქრისტიანობის სიყვარულისა და შემწეობისას; «ხოლო კეთილსა საქმესა და ზიარებასა ნუ დავიწყებთ, რამეთუ ესე ვითარნი მსხვერპლნი სათნო არიან ღმრთისა» (ებრაელ. 13, 16). ამას გვიმტკიცებს ჩვენ სიტყვა ღვთისა, და გვიწვევს დღეს წმ. ეკკლესია ამ კეთილის საქმისათვის; ასეთივე გრძნობა უნდა აღძრას ჩვენში ჩვენი სამშობლოის საზოგადო წარმატების სურვილმა და სიბრალულ ბრმათა სიცოდავმა და უნუგეშო მდგომარეობამ.

ღმერთი სიყვარულისა და მოწყალებისა იყოს თქვენ ყოველთა თანა, სოდო უფრას მოწყალებათა და კეთილის მოთმელთა თანა. ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალენ, შეწყალებულ იქმნებიან იგინი, რაცა უმეტესად საჭირო იქნება ჩვენთვის კეთილი საქმეები, რაცა ჩვენგან მარტო კეთილ საქმეებს მოითხოვენ,—იმ დიდს და წმიდა დღეს, რომელსაცა წარსდგებიან ყველა ჩვენგანი ქრისტეს უკანასკნელის და საშინელის განსჯისა წინაშე. ამინ.

მოწამე სარწმუნოებისათვის.

(გაგრძელება *).

VI.

ნეტარ-იყვნენ თქვენ, რაჟამს გეგვედრიდენ და გდევნიდენ, და სოქვან ყოველი სიტყვა ბოროტი თქვენდა მიმართ სიცრუით ჩემთვის (მათ. 5, 11.).

ილიოპოლის სამსაჯულომ ქრისტეს ალიარებისათვის ვარვარას გადაუწყვიტა სასტიკი წვალება; სამსაჯულოს განჩინების ძალით ყოველივე ზომები უნდა ეხმარათ, რომ უგნურ ვარვარას უარ ეყო ქრისტე და ეცა თაყვანი რომის ღმერთებისათვის.

ქონსულის მოადგილემ ბრძანა მოეყვანათ მასთან ვარვარა, რათა წაუკითხოს მას სამსაჯულოს განჩინება. ვარვარამ მშვიდობიანად მოისმინა განჩინება, მის პირის სახეზე ოდნავ შინაც ვერ შეინიშნავდა კაცი. ვარვარას სიმშვიდემ და არა ჩვეულებრივ ემა სიმშვენიერემ ისე გააოცა მარკიანე, რომ მას ფრიად შეეცოდა საბრალო ქალი. მარკიანეს სურდა გადაერჩინა ვარვარა სიკვდილს, რადგან დიოსკორს მეტი შვილი არა ჰყავდა და ამიტომ ერთი კიდევ სინჯა დაერწმუნებია ვარვარა, რათა მას უარ-ეყო ქრისტე.

— ქალო, გამიგონე მე!—მოფერებით უთხრა მან ვარვარას,—რატომ არ გინდა გაიგო შენი შეცდომა? უარ-ჰყავ ის სარწმუნოება, რომლისა გამო შენ მიეცემი დიდ წვალებათა, თაყვანი ეცი რომის ღმერთებს და მაშინ მშვიდობით დაბრუნდები სახლში.

ვარვარამ პირ-და-პირ და თავამად შეხედა მარკიანეს და მიუგო:

— მე ვერ გამიგია, კონსულო, ის, რომ ხალხი სიცრუეს უწოდებს ჭეშმარიტ სარწმუნოებას, რომელსაც ქრისტიანები ძალათი არავის არ აძალებენ; თქვენი სიტყვებისაგან სჩანს, ვითომ ეს სარწმუნოება სიცრუე იყოს, როდესაც თქვენ, კერპთ-თაყვანისმცემელთ, გრწამთ უსულო კერპები, რომელთაც თქვენ თვითონ აკეთებთ, და სხვებს ძალას ატანთ, რომ ირწმუნონ ისინი ღმერთებად.—და ეს კი, თქვენის აზრით, არ არის სიცრუე. სად არის აქ ჭეშმარიტება? ნამდვილი გონება გვეუბნება ჩვენ, რომ ეს მშვენიერი ქვეყანა, რომელზედაც ჩვენ ვსცხოვრობთ, არ შეუქმნიათ თქვენს კერპებს, რომელთაც თქვენ ღმერთებს უწოდებთ, ბუნება ცხადათ გვიჩვენებს ჩვენ, რომ ქვეყანა წარმომდგარა რომელიმე ყოვლად შემძლე ქმნილებისაგან, რომელსაცარა აქვს დასაწყისი. ეს ქმნილება, ქრისტიანების სწავლისა მებრ, არის ღმერთი. ამის შემდეგ როგორ ვსცემ მე თაყვანს რომის ღმერთებს, როცა ეს წინააღმდეგია კეთილ-გონიერებისა? როგორ უნდა შევირცხვინო თავი და ვიწამო ის, რაც არა მრწამს და უარ-ეყო ის, რაც მე გულითა და სულითა მრწამს და ვალვიარებ.

ყურადღებით მოისმინა ვარვარას სიტყვები მარკიანმა, რომელიც, როგორც მის პირის სახეზე იხატებოდა, თანაუგრძნობდა ვარვარას, მაგრამ კერპთ-თაყვანის მცემლის უდიერობამ და ფანატიზმა დასძლიეს მასში თანაგრძნობას. მარკიანე მაინც თავისაზე ადგა.

— ეს ყველაფერი ეგრეა, მიუგო მარკიანემ,—მაგრამ უჭკუობა იქნება მაგისათვის იწამო, მოიგონე, რომ შენ კიდევ ახალ-გაზდა ქალი ხარ და ვერ მოითმენ მას, რაც გადაწყვეტილი გაქვს. წვალების შემ-

*) ის. „მწყემსი" № 10 1888 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგ შენ მაინც უარ-ჰყოფ ქრისტეს სარწმუნოებას და ამიტომ ეხლავე სჯობია უარ-ჰყო, სანამ დრო გაქვს.

— ყოველად შემძლე ღვთის ძემ, იესო ქრისტემ, —გაბედულად მიუგო ვარვარამ მარკიანეს,—მოითმინა ჩვენთვის გინება, წვალება და თვით სიკვდილი. ჩვენ, ქრისტიანები, მისი აღმსარებელი ვართ და მზადა ვართ მოვითმინოთ ყველა ის, რაც მოითმინა, ქრისტემ, რომელიც მოგვანიჭებს ჩვენ ძალას, რათა ვიქმნეთ მისი მორწმუნე სიკვდილამდე.

ვარვარას სარწმუნოების ამ გვარმა შეურყეველობამ მეტად გააჯავრა მარკიანე.

მაშინ გამოცდი იმ კანონის ძალას, რომელსაც შენ ეხლა ასე ამცირებ! ბაჯავრებით წამოიყვირა მარკიანემ და უბრძანა მხედრებს მომზადებულიყვნენ, რომ სამსაჯულოს განაჩენი ვარვარას შესახებ სისრულეში მოეყვანათ.

გამოვიდა რამდენიმე ხანი. ილიოპოლის მოედანზე ხალხის დიდმა ბრბომ მოიყარა თავი და შესცქეროდა ერთ ტიტველა ქალს, რომელიც იდგა მაღალ ყუთზე.

ეს ტიტველა ქალი იყო ვარვარა. იგი თვალცრემლიანი ეეედრებოდა ღმერთს, რათა მან დაიფაროს იგი სირცხვილისაგან.

ყველა იქ დამსწრე პირებზე ეს სანახაობა სხვადა-სხვა შთაბეჭდილებას ახდენდა. ზოგს ეცოდებოდა საწყალი ქალი და აუგებდა კონსულის შეუბრალებლობას; ხოლო ხალხის უმეტესი ნაწილი დასცინოდა ვარვარას და სიამოვნებით შესცქეროდა ქრისტეს აღმსარებელის წამებას.

ერთი საათის შემდეგ, მოვიდა ოთხი მხედარი და თან მოიტანეს ხარის ძარღვებისაგან დაწნული მათრახები; დადგნენ ეს მხედრები მახლობლად იმ ყუთისა, რომელზედაც იდგა ვარვარა.

ხალხის ბრბო უფრო ჭიდროდ შეიჯგუფა და დაიწყო ცდა. დიდ ხანს არ დასჭირდათ ცდა.

გამოჩნდა თვით კონსული, რომელსაც თან მოსდევდა მრავალი მხლებლები. მარკიანეს პირის სახეზე შეურყეველი სასტიკობა იხატებოდა.

როცა ვარვარას მიუახლოვდა, მან ხმა მაღლა წარმოსთქვა:

— მოეგო ჭკუას თუ არა ეგ გიჟი?

შემდეგ მიუბრუნდა ხალხს და დაიწყო:

— აი ღირსეული სასჯელი მათთვის, რომელნიც არა სცემენ პატივსა რომის ღმერთებს და არ ისმენენ იმპერატორების ბრძანებას!

— აი გზა, რომელიც მე მიმიყვანს უტკბილეს იესოსთან, მოისმა მშვიდობიანი ხმა წამებულისა,— აი თავხედი ძალადობა, რომელმაც დაბრმავებულ ხალხს უნდა აუხილოს თვალები. აი ბრძოლა, რომელშიაც გამარჯვება დარჩებათ ქრისტეს აღმსარებელთ.

— ხმა ჩაიკმიდე, შე უბედურო! დაიღრიალა მარკიანმა,—შენ სხვებიც გინდა შეაცდინო შენი სწავლით? მხედრებო, მოემზადეთ!

მხედრებმა ბრიყულად მოჰკიდეს ხელი ვარვარას და თავდაღმა დასცეს ყუთზე; შემდეგ ოთხი მხედარი, რომელთაც ხელში მათრახები ეკავათ, დადგნენ იქითაქეთ.

ამ საშინელმა მომზადებულებამ შიშის ზარი დასცა იქ მდგომარე ხალხს.

— დაჰკარ! - უბრძანა მწვალებელმა.

ერთმა მხედარმა მაგრად დაჰკრა მათრახი ვარვარას ტიტველ ტანზე. დანაკრავ ადგილზე დაჩნდა სისხლის კვალი. ვარვარას ერთი ხმაც არ ამოუღია.

დაჰკარი!—ბაიმეორა ხელ-მეორედ მარკიანემ. მეორე მხედარმაც მწარედ დაარტყა მათრახი. ვარვარას გულისაგან მოისმა სუსტი ამოოხვრა.

ამ მოთმინებამ უფრო გააბრაზა მარკიანე. ბაჯავრებულმა უბრძანა, რომ შეუბრალებლად სცემონ ვარვარას იმ დროამდე, სანამ მათრახები არ დაგჯნენ.

დიდხანს გაგრძელდა ეს შეუბრალებელი წამება, დიდ-ხანს მოისმოდა ცემა.

ვარვარას სხეული წარმოადგენდა ხორცის და სისხლის ნაჭერს. მთელი მისი პირის სახე გასისხლიანებული იყო, თავზე თმის მაგივრად იყო სისხლის პატარა გუნდი. სისხლის გუბეში, რომელშიაც თითქმის ცურავდა მოწამის სხეული, ძლივს ძლიობით შეიძლებოდა გაერჩია კაცს სხეულის ნაწილები.

ამ სანახაობამ შეაწუხა ხალხის ბრბო. თვით ფანატიკებსაც კი არ მოსწონდათ კონსულის სასტიკობა.

ბოლოს მარკიანემ უბრძანა მხედრებს, შეჩერებულიყვნენ, ხოლო ბრბოს ისეთი თვალი გადაავლო, რომ ყველამ ხმა ჩაიკმიდა.

შემდეგ მიუბრუნდა თავის მსხვერპლს და უთხრა:

— უარ-ჰყავ ქრისტე.

ვარვარამ პასუხი არ გასცა. ამ შეუბრალებელმა წამებამ დაუკარგა ვარვარას გრძნობა.

— ა! პასუხის მოცემასაც კი არ კადრულობ,

—წაილაპარაკა მარკიანმა რაღაც მაცდურის დაცინვით. ეარგი! მხედრებო! ენა ამოადგმევინეთ ამ გაუგონარს!

მხედრები მიხვდენ, რასაც უბრძანებდა მათ მარკიანე: მოიტანეს თხის ბალანი და კრამიტის პატარა ნატეხები და წაუსვეს ტანზე ვარვარას. მათრახისაგან დაგლეჯილი ტანი მას უფრო ეტკინა. ახალმა უტანელმა ტკივილმა გამოაფხიზლა ვარვარა.

მიუბრუნდა მას მარკიანე და შეჰყვირა გაბრაზებულად: უარ ჰყავ ქრისტე, თორემ კიდევ უბრძანებ, რომ გაწამონ.

ვარვარამ მოკრიბა უკანასკნელი ღონე და მაგრად წარმოსთქვა:

— ეურთხეულ იყოს უფალი იესო ქრისტე!

მარკიანემ გაბრაზებულად დაჰკრა ფეხი მიწაზედ და დაიყვირა:

— წაათრიეთ მაგ არა წმიდა საპყრობილეში.

თავხედმა მხედრებმა მოჰკიდეს ხელი ვარვარას და გინებით წაათრიეს იგი. ასეთმა მხეცობამ ააღელვა ყოველი მოქალაქენი. ერთმა ქალმა, რომელმაც დაინახა თუ არა ვარვარას დაგლეჯილი სხეული, ვეღარ შეიკავა ცრემლები და მთელი გზა მწარედ მიტიროდა საბრალო ვარვარას.

VII

ვარვარას წვალების მეორე დღეს, დილით დიოსკორი მივიდა მარკიანესთან რჩევისავთვის, თუ რა უყოს მან თავის ურჩ ქალს.

— ბანა მე შენ პირველადვე არ გითხარი, განრისხებით შესძახა სასტიკ მამას მარკიანემ, რომ ქრისტიანები მეტად გაუგონარნი არიან და შენი ქალიც არ უარ ჰყოფს ქრისტესა, ეხლა მეც არ ვიცი, რა უყო ვარვარას. კიდევ მივაყენებ მას ტანჯვას და, თუ ამ წვალების შემდეგაც არ უარ ჰყო მან ქრისტე, მაშინ მხოლოდ ისღა დაგრჩება, რომ იგი სიკვდილით დავსაჯოთ. მე კი ძალიან ვეჭობ, რომ ტანჯვამ რამე იმოქმედოს ვარვარაზე. ნამდვილია, რომ იგი თავის სიკვდილს არჩევს თავის საყვარელი ქრისტეს უარ-ყოფას. ყოველ შემთვევაში შენ სამუდამოდ დაჰკარგე შენი ქალი... და რამ გაიძულა შენ, რომ იგი გაეცი?

— ბანა ის უფრო კარგი იქნებოდა, მართლულობდა თავს დიოსკორი, რომ თვითონ მთავრობას გაეგო, რომ მე სახლში მყვანდა ქრისტიანე ქალი? რა დამემართებოდა მე? მაშინ მეც ჩემი ქალის თანამოაზრედ ჩამთვლიდენ და მასთან ერთად დამაპატიმრებდენ საპყრობილეში, და ჩემს ქონებას ჩამომართმევდენ.

— მაგას ტყვილად ფიქრობ,—შენიშნა მარკიანემ,—მთავრობას, შეიძლება, კიდეც ვერაფერი შენიშნა და ან ვის მოუვიდოდა ფიქრად მოეძებნა ქრისტიანები ისეთი შესანიშნავი, მდიდარი და ხელმწიფის ერთგულ-მოსამსახურის სახლში, როგორიც შენა ხარ?

— შენთვის ადვილია ამის თქმა, მაგრამ მე კი არ შემიძლია მუდამ შიშს ქვეშ ვიქნე, როგორც კურდღელი ტყეში და ყოველ წამს ველოდე, რომ ჩემს სახლში ან დღეს, ან ხვალ აღმოაჩენენ ქრისტიანე ქალს. არა, პროკონსულო, მე გარდაწყვეტით გეტყვი შენ შემდეგს: თუ ჩემი ქალი გამიგონებს მე, მაშინ მას ნება აქვს დაბრუნდეს ჩემს სახლში და ისარგებლოს ჩემი ქონებით, და თუ იგი თავის შეცდომას არ უარ ჰყოფს, მაშინ საუმჯობესოა სიკვდილით დაისაჯოს იგი.

— იგი უსათუოდ დაიღუპება, რადგან, რამდენათაც მე თქვენს ქალს ვიცნობ, იმის მორჯულება ისე, რომ ჩვენ ღმერთებს სცეს თაყვანი, ძნელია. უმჯობესი იქნება, რომ შენ თვითონ დაარწმუნო იგი,—მე ეხლავე უბრძანებ—მოიყვანონ აქ ვარვარა.

— როგორც გენებოსთ, ისე მოიქეცით, სთქვა დიოსკორმა, მხოლოდ მე ნება მიბოძეთ წავიდე, რომ არ შევხვედო წამებულ და დაგლეჯილს ჩემს ქალს.

დიოსკორი გამოვიდა; მოსამსახურეებმა შემოიყვანეს ვარვარა.

ბაოცებულმა მარკიანემ უკან დაიწია, როცა დაინახა ვარვარა, რომელიც შეიყვანეს მასთან: მარკიანეს ეგონა, რომ ვარვარა ძალიან შეწუხებული იქნებოდა, მაგრამ, მისდა გასაკვირველად, ვარვარა უწინდებულადვე მხიარული, ტანმრთელი და უფრო ლამაზი იყო. შეშინებულმა რომაელმა არ იცოდა საიდამ დაეწყო საუბარი, დაბოლოს მას ფიქრად მოუვიდა თავში, რომ თავის მიზნის მისაღწევად ისარგებლოს სასწაულით. მოფერებით მიუბრუნდა ვარვარას:

— ხომ ხედავ, ქალო, ჩვენი უკვდავი ღმერთები როგორ ზრუნავენ შენზე? შენ იგინი მოიძულე და ალიარე ქრისტიანების ღმერთი, რომლის გულისათვის

გუშინ დასთმე ამდენი წვალება, ხოლო ჩვენმა ღმერთებმა ყოველივე ეს მოგიტევეს შენ და მოგირჩინეს შენი წყლულნი. პატივი ეც ჩვენს უკვდავ ღმერთებს და დმბრუნდი მამა შენთან, რომელსაც უწინდებულად უყვარხარ შენ და იგი სიხარულით მიგიღებს შენ.

ვარვარამ ზიზღით შეხედა პირმოთნე მარკიანეს.

— შენ სტყუი, თქვენმა უსულო ღმერთებმა კიარა, უფალმა იესომ, რომლის გულისათვის მე ვეწამე, დამიფარა მე ტანმრთელად. იგი წარსულს ღამეს ვიხილე მე საპყრობილეში და მან მოარჩინა ჩემი წყლულებანი, შენ კიდევ მაგონებ მამა ჩემს, ამბობ, რომ მას კიდევ უყვარვარ მე; მამა ჩემი არ იყო, რომ მე გამცა, განა მან არ მიმცა მე ულმერთო მტარვალთ? განა ამისთანა მამისათვის უნდა უარვყო ქრისტე? არა, ამას ვერ ვიზამ მე, კიდეც რომ ძალიან უყვარდე მე მამას,—უფალმა რქვა: რომელსა უყვარდეს მამა ანუ დედა უფროს ჩემსა, არ არს იგი ჩემდა ღირს (მათ. 7, 37).

— თუ ეგრეა, მაშ უფრო დიდ და სასტიკ წვალებას მოგაყენებენ შენ და ვნახოთ, მოითმენ მათ შენ, თუ არა, შეაშინა მარკიანემ ვარვარა.

— მე ყოველიფერზე მზათა ვარ და არ მეშინია შენი მუქარისა, მწვალებელო,—გაბედულად მიუგო ვარვარამ;—არც წვალებას და არც სიკვდილს არ შეუძლიან შეარყიონ ჩემი სარწმუნოება. მე უკვე უარ ვყავ ჩემი თავი, რომელიც შევსწირე საყვარელს იესოს და მხად ვარ აღვასრულო შემდეგი ბრძანება მაცხოვრისა: რომელსა ნებავს შემოდგომად ჩემდა, უარ ყოფენ თავი თვისი და აღიღენ ჯვარი თვისი და შემოიდგენ მე; რამეთუ რომელსა უნდეს სული თვისი განრინებად, წარწყმიდოს იგი; და რომელმან წარწყმიდოს სული თვისი ჩემთვის, მან პოოს იგი (მათ. XVI, 24—25).

— თუ მაგრეა, წადი, შე უგნურო და, ეწამე. მხედრებო, გაიყვანეთ იგი!

ამ ლაპარაკის შემდეგ არ გასულა ნახევარი საათი, რომ ქალაქის გარედ უწინდებულად შეიკრიბა ურიცხვი გროვა ხალხისა, რომ ენახა ვარვარას წვალება.

მთლად გატიტვლებული ვარვარა მიკრული იყო ხეზე. მის მახლობლად ენთო ცეცხლი, რომელშიაც შედებული იყო რკინის კეტი გასახურებლად. მახლობლად იდგნენ მერხმლენი, რომელთაც ხელებში ეჭირათ რკინის საქლეშები, რომელთაც ჰქონდათ მწვეტიანი კბილები და ხის დიდი კერი. ყოველივე ეს მომზადებული იყო ვარვარას საწვალებლად, მხოლოდ მარკიანეს მოსვლას ელოდებოდენ.

ბოლოს მარკიანეც მობრძანდა და უბრძანა, რომ დაეწყოთ წვალება. ერთმა მერხმლემ აიღო თავისი საქლეში და დაუსვა ვარვარას მთელს ტანზე. ტანჯვა მეტად საზარელი იყო. საქლეშის მწვეტიანი კბილები ღრმად ესობოდენ ტანში ვარვარას და აჩენდენ კვალს. წყლულებიდამ გადმოვიდა სისხლი.

— უარ ჰყავ ქრისტე, დაუყვირა მარკიანემ თავის მსხვერპლს,—კიდევ დრო გაქვს.

ვარვარამ პასუხი არ გასცა. მან მხოლოდ აღიპყრო თავის თვალები ცისადმი და მხურვალედ ევედრებოდა ღმერთს, რომ მას მიეცა მისთვის ძალა, რათა ეძლია ამ წვალებისათვის. მაშინ, ბრძანებისამებრ, მეორე მერხმლემ თავისი საქლეში შეასო ვარვარას ტანში, მაგრამ ვარვარას ერთი ხმაც არ ამოუღია.

ვარვარას ამ გვარმა მამაცურმა მოთმინებამ კიდევ უფრო გააბრაზა მარკიანე.

— დასწვი! მოისმა მარკიანესი წყრომის ხმა.

მერხმლებმა მაშინვე გამოიღეს ცეცხლისაგან მეტად გახურებული რკინის კეტი და მიადვეს ვარვარას ტანზე.

ჰაერში გადგა საზიზღარი სუნი დაიწვარი ხორცისა. მაყურებლებზე შიშის ზარი დასცა ამ უბედურებამ, ვარვარა კი ხმას არ იღებდა.

მერხმლენი რიგ-რიგობით ადებდენ ვარვარას ტანზე გახურებულ რკინის კეტებს და მთელი ტანი მთლად დაუწვეს, მაგრამ იგი შეურყეველად იდგა.

საეჭვო კითხვების განმარტება.

შეიძლება თუ არა, რომ მღვდელ-მოქმედების დროს წინ დაუდგეს დამსახურებულს ბლაღოჩინს ასაღ-გაზდა და დაუმსახურებელი კლიუჩარი კათედრის სობოროსის?

ამისთანა კითხვას გვაძლევენ ჩვენ ზოგიერთი სამღვდელო პირნი ბურია-სამეგრელოის ეპარქიიდგან და ითხოვენ განმარტებას. აი ჩვენი პასუხი ამ კითხვის შესახებ:

იყო შემთხვევა ბიჭვინტის ეკლესიის კურთხევის დროს, სადაც სხვა დამსახურებულ სამღვდელო პირებთან ერთად მწირველი იყო საკათედრო სობოროს კლიუჩარიც, რომელსაც მღვდელ-მთავარმა უპირატესობა მისცა ზოგიერთ სხვა დამსახურებულ მღვდელ-ბლაღოჩინებზე. მღვდელ-მთავარმა ბრძანა: «რუსეთის ეპარქიებში საკათედრო სობოროს დეკანოზებზე და კლიუჩარებზე უპირატესობას არავის არ აძლევენ მღვდელ-მთავრები». ჩვენის აზრით ეს ასეც უნდა იყოს. კათედრის სობოროს კრებული, როგორც მთელი ეპარქიის სამღვდელოების წარმომადგენელნი, ყოველისფრად განსხვავებული უნდა იყოს მთელ ეპარქიის სამღვდელოთაგან სწავლით, დამსახურებით და ყოველივე იმ თვისებით, რომლითაც შემკული უნდა იყოს მოძღვარი. თუ ეს ასე არის, რასაკვირველია, არავის არ უნდა დაურჩეს საწყენად, რომ ასე საგანგებოდ აღრჩეული პირი წინ დაუდგეს ეპარქიის სხვა სამღვდელოებას. თუ ეს ასე არ არის, მაშინ თვით მღვდელ-მთავარი, როდესაც მას წირვა ხვდება გარეშე კათედრისა სოფლებში, ყოველს წირვაზე უნდა განსაზღვრიდეს ხოლმე მწირველ მღვდელთა დამსახურების მიხედვისა მებრ, თუ რომელი მათგანი რომელ ადგილზე უნდა იდგეს. მხოლოდ ამით შეიძლება მოისპოს ის უსიამოვნება, რომელიც ხშირად მოხდება ხოლმე მღვდელთა შორის მღვდელ-მოქმედების შესრულების დროს თავის მნებელობით ადგილის დაკავებისა გამო. ეს კითხვა არც ისე მცირეა, როგორც ზოგიერთები რაცხენ, ამისათვის იმედი გვაქვს, რომ მაზე ჯეროვანი ყურადღება იქნება მიქცეული, ვისგანაც რიგია.

როგორც ამ კითხვისა, აგრეთვე სხვა ამ გვარი კითხვებისამებრ ჩვენ უკვე აღძრული გვაქვს კითხვა და იმედი გვაქვს განმარტებულნი იქმნებიან იგინი უწმინდესის სინოდისაგან.

რედაკტორი.

რედაქციის პასუხი.

ნი—გს. მღ. ე. კ—ს. — თქვენ ამბობთ: „ჩვენ ჩვეულებად არა გვქონია წინ-და-წინ ყურნალისათვის ფულის გაგზავნა, ყოველთვის წლის დამლევს გავგზავნით ხოლმეო». კარგი ჩვეულებაა, თქვენმა მზემ!.. მტკიცეთ სდეგით მაგ ჩვეულებაზედ და ძლიერ განვითარდებით ყურნალ-გაზეთების კითხვაში!

მ. ნ. ბ—ძეს. — ადრესის რამდენიმეჯერ გამოცვლა რედაქციისათვის საძნელოა უფასოდა. კანსისტორიის წესდებულება ორ გზის გამოგიგზავნეთ ერთ ფასში და, თუ ფოსტა არ მოიტანს, რედაქცია პასუხს არ აგებს.

ბ—ჩინს მ. ი. ხ—ს. — ყველა ნომრები გაეგზავნა გურჯანის ეკკლესიის კრებულს.

თბილისი. ზ. ა—ეს. — ნუ სწუხდებით უბრალო წერილით, გაზეთებიდგან პირ-და-პირ გადმოწერილს, ჩვენ არ ვბეჭდავთ.

მ. ი. გ. — რომ ვარგიყონ, დიდის სიამოვნებით დავბეჭდით. თქვენ ამბობთ: «ცენზორი არ დააბრკოლებსო». ეს მართალია. ცენზორის უფლებაში არ შედის გაზეთში დასაბეჭდი სტატიების შინაარსის ავ-კარგიანობა, ოღონდ სტატია წინააღმდეგი არ იქნეს ღვთისა და მართებლობისა.

პეტერბურგს. ფ. გ. წ-ს. — გულით გმადლობთ თქვენი გრძნობით სავსე წერილისათვის. თქვენი წერილი მალამოა ჩვენი გულისათვის. ვინ დაეძებს მადლობის გამოცხადებას და დაჯილდოებას, რომ პირიქით ხელს არ გვიშლიდენ და ენას არ გვიდუმებდენ!

განცხადება.

დაიბეჭდა და ისყიდება ქართული საეკლესიო

ფიბიკონი,

შედგენილი და გამოცემული მთ. დიაკ. რაქდენ ხუნდაძისაგან. წიგნი იყიდება **შემდეგ ადგილებში:** თფილისში წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგ. წიგნთ საწყობში; ქუთაისის საეპარქიო კანცელარიაში და მარტვილში მთ. დიაკონ გიორგი გეგეჭკორთან.

ისყიდეგიან

დეკანოზი დავით ლამბაშიძისაგან შედგენილი
და გამოცემული წიგნები:

თბილისში: ბრიკურეის, ჩარკვიანის და
ცენტრალურ წიგნის მაღაზიებში, ქუთაისში:
ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ყვირი-
ლაში: თვით გამომცემელთან და ხონში:
წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

საქართველოს საეკლესიო
ისტორია,

ფასი ოქროთ—ცხრა შაური

ქართული ლოცვანი,

თითეული მეტუველობით, ქორონიკონით და მართლ-მადიდებელი ეკლესიის უმთავრესი დღესასწაულების ისტორიული მოთხრობით.

ფასი უყდოთ 30 კ. და ყდით 45 კ.

ახალი გარიგებანი

ფასი ერთი მანეთი.

ეს წიგნი განხილული და ნება დართულია კავკასიის საეპიმო რჩევისაგან.

მღვდელთათვის საიდუმლოების შესრულების დროს საჭირო

სახელმძღვანელო წიგნი,

ფასი ოქროთ ექვსი შაური.

ახალი სასულიერო კონსისტორიათა

წესდებულება,

ფასი ოქროთ—50 კ. და უყდოთ 40 კ.

მცხეთის ტაძარი
⁂
წმიდა ნინო,

ქართველთ განმანათლებელი

სურათებით ფასი 25 კ.

გაენათის მონასტერი

და ცხოვრების აღწერა მეფის

დავით აღმაშენებელისა.

ფასი ექვსი შაური.

სარწმუნოებრივი და ზნეობრივი შინაარსის
და სახალხო საკითხავი წიგნაკები:

ვასილი დიდი, სურათით—ფასი . .	2 კ.
მირქმა უფლისა, ,, ,, . .	2—
დიდ-მარხვის ფინ, ,, ,, . .	2—
ხარება ყოვლად წმიდა ღვთისმშობლისა, სურათით	2—
ბზობა სურათით	2—
აღდგომა სურათით	2—
პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალთან . .	5—
მეფე სოლომონ ბრძენი, სურათით .	5—

ვინც ზემო აღნიშნულ წიგნებს გამოიწერს არა ნაკლებ ერთი თუმნისა, მას მანეთზე დაეთმობა სამი შაური.

ვინც 2 კ. წიგნაკებს დაიბარებს არა ნაკლებ ასი ცალისა, ის ფოსტის გასაგზავნს არ იხდის.

რედაქციაში იმყოფებიან ყველა ნომრები 1887 წლის «მწყემსი»-სა ყდით 4 მ. და რუსული გამოცემა ყდით 3 მ.

შინაარსი: ახალი ზომები საქართველოს სამღვდელოების ნაოფიერი მსახურებისა და მოქმედებისათვის მის მწყემსებრივ ასპარეზზედ.—საქართველოს საეპისკოპოსოს ეკლესიების და მონასტრების დათვალიერება მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის მთავარ-ეპისკოპოსის, საქართველოს ექსარხოსის პალადისაგან.—სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის ოდენის სამღვდელოების დეპუტატების შეკრებილება ახალ სენაგში.—გორიდგან.—ლექსები.—ახალი ამბები და შენიშვნები.—სიტყვა, თქმული საქართველოს ექსარხოსის, მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესის პალადისა ბრძის კეთილიანკესა ზედა ბრძათა სასარგებლოდ ეკლესიებში კეთილ მნებებელობით შეწირულებათა შეკრების დროს.—მოწამე სარწმუნოებისათვის.—საეკლო კითხვების განმარტება.—რედაქციის პასუხი.—განცხადება.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ლამბაშიძე. *Дозв. цензурою Кутаисъ, 14 Іюня 1888 г.*

საკუთარი მსწრაფლ-მბეჭდავი რედაქციისა.